



# ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაგბჰიცივა“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და  
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი  
სოფიო დვალისვილი

*[Handwritten signature]*

17 სექტემბერი 2019 წელი

N 51/36

ეგზ.: N1

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის  
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტი

**შინაარსი**

|                        |  |           |
|------------------------|--|-----------|
| <b>ძირითადი ნაწილი</b> | <b>ტერმინები და შემოკლებები</b>                        | <b>1</b>  |
|                        | <b>ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ</b>      | <b>2</b>  |
|                        | <b>დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე</b>                  | <b>3</b>  |
|                        | <b>1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები</b>              | <b>4</b>  |
|                        | <b>2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები</b>                 | <b>15</b> |
|                        | <b>3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა</b> | <b>17</b> |
| <b>დანართები</b>       | <b>ფინანსური ანგარიშგების ფორმები</b>                  | <b>19</b> |
|                        | <b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>                           | <b>24</b> |

**ტერმინები და შემოკლებები**

**სამინისტრო** - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**ცენტრალური აპარატი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი და თავდაცვის ძალები (პროგრამული კოდებით - 29 01; 29 02 04; 29 02 05; 29 03 02; 29 03 03; 29 04 02; 29 05; 29 06; 29 08; 29 09);

**ფინანსების მართვის დეპარტამენტი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სამოქალაქო ოფისის, ფინანსების მართვის დეპარტამენტი;

**გენ. შტაბი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი;

**J4** - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი;

**სამხედრო ქვედანაყოფი** - ფინანსური აუდიტის მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან.

**წვრთნების სარდლობა** - სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა.


**ავიაციის სარდლობა** - სამინისტროს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა.

**ჯალუსი** - ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

**ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას თავდაცვის სფეროში.

სქემა N1: სამინისტროს სტრუქტურა



აუდიტის ობიექტს წარმოადგენს სამინისტროს ცენტრალური აპარატი, რომლის ბალანსი მოიცავს **სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების** ფინანსურ ინფორმაციას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტებისა და საკასო ხარჯის შესახებ.

ცხრილი N1: სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2018 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტი და საკასო ხარჯი (ათასი ლარი)<sup>1</sup>.

| დასახელება                            | დამტკიცებული ბიუჯეტი | დაზუსტებული ბიუჯეტი | საკასო ხარჯი      | სხვაობა დამტკიცებულ ბიუჯეტსა და საკასო ხარჯს შორის (%) |
|---------------------------------------|----------------------|---------------------|-------------------|--|
| <b>სამინისტროს ცენტრალური აპარატი</b> | <b>725,600.00</b>    | <b>716,444.20</b>   | <b>716,036.50</b> | <b>99%</b>   |
| <b>ხარჯები</b>                        | <b>596,970.00</b>    | <b>589,001.60</b>   | <b>588,550.50</b> | <b>99%</b>   |
| შრომის ანაზღაურება                    | 344,616.00           | 334,086.20          | 334,066.50        | 97%  |
| საქონელი და მომსახურება               | 206,783.00           | 209,454.60          | 209,023.90        | 101%   |
| გრანტები <sup>2</sup>                 | -                    | 24.1                | 23.4              | -  |
| სოციალური უზრუნველყოფა                | 25,571.00            | 27,669.00           | 27,669.00         | 108%   |
| სხვა ხარჯები <sup>3</sup>             | 20,000.00            | 17,767.70           | 17,767.70         | 89%  |
| <b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>    | <b>128,630.00</b>    | <b>127,442.70</b>   | <b>127,442.60</b> | <b>99%</b>   |

<sup>1</sup> ცენტრალური აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ბიუჯეტის შესრულების წილი 88%-ს შეადგენს.

<sup>2</sup> საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევრო გადასახადები (NATO, CISM )

<sup>3</sup> სხვა ხარჯები მოიცავს სამხედრო მოსამსახურეთა დაზღვევის მიზნით გაწეულ ხარჯებს.

## დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

### უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს<sup>4</sup>, მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისთვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აზრად აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

<sup>4</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

# 1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

## 1.1 ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ნაკლოვანებები

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჩართულია სამოქალაქო ოფისი და თავდაცვის ძალების შემადგენლობა.

**ცხრილი N2:** თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულები და მათი ქვედანაყოფები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სამინისტროს ცენტრალურ აპარატთან ფინანსური ინფორმაციის წარდგენაზე.

|                         |  |
|-------------------------|--|
| <b>თავდაცვის ძალები</b> | სამედიცინო დეპარტამენტი                                |
|                         | კავშირგაბმულობის ცენტრი                                |
|                         | ჯლუსი (დაქვემდებარებული 7 ქვედანაყოფი)                 |
|                         | ავიაციის სარდლობა (დაქვემდებარებული 1 ქვედანაყოფი)     |
|                         | წვრთნების სარდლობა                                     |
|                         | ადმოსავლეთის სარდლობა (დაქვემდებარებული 3 ქვედანაყოფი) |
|                         | დასავლეთის სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი)   |
|                         | სამხედრო პოლიცია                                       |
|                         | სამხედრო დაზვერვა                                      |
|                         | სპეც. ოპერაციების ძალები                               |
| ეროვნული გვარდია        |  |

2016 წელს თავდაცვის ძალების შემადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებს (დეპარტამენტები, სარდლობები და სარდლობებს დაქვემდებარებული სამხედრო ქვედანაყოფები) მინისტრის ბრძანებით დაევაალათ მათ სარგებლობაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობრივ-თანხობრივი აღრიცხვა, ელექტრონული რეპორტების წარმოება და ყოველთვიური ინფორმაციის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენა.

ფინანსების მართვის დეპარტამენტის განმარტებით, სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების 2016 წლის საწყისი ნაშთის შესახებ ინფორმაცია მიღებულია ჯლუსიდან, ხოლო შემდგომი პერიოდის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა გრძელდება ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაში სტრუქტურული ერთეულებიდან და მათი ქვედანაყოფებიდან მიღებული ზემოაღნიშნული რეპორტების საშუალებით.

გარდა იმისა, რომ ქვედანაყოფები პირდაპირ ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარადგენენ ინფორმაციას დადგენილი ფორმით, დებულების თანახმად,<sup>5</sup> ჯლუსის როგორც სარდლობის ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს მთლიანად თავდაცვის ძალების აქტივების კონტროლი და აღრიცხვა.

**აუდიტის შედეგად გამოვლინდა სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და კონტროლის გარემოს ნაკლოვანებები:**

<sup>5</sup> 2014 წლის 6 ივნისის, მინისტრის ბრძანება #44 - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

### ქვედანაყოფებში და სარდლობებში აღრიცხვის ორგანიზება

1. დებულების მიხედვით,<sup>6</sup> სარდლობებს ექვემდებარებიან ქვედანაყოფები, შესაბამისად სარდლობები უნდა აკონტროლებდნენ მათ დაქვემდებარებაში არსებულ ერთეულებს, თუმცა ქვედანაყოფები სარდლობებისგან დამოუკიდებლად ამზადებენ ფინანსურ ინფორმაციას და წარუდგენენ ფინანსების მართვის დეპარტამენტს, რაც არ შეესაბამება დებულებით დადგენილ სისტემას. შესაბამისად, სარდლობები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას მათ დაქვემდებარებაში არსებული ქვედანაყოფების აქტივების შესახებ.

**შესაბამისად, აღრიცხვის პრაქტიკა არ შეესაბამება არსებულ ორგანიზაციული დაქვემდებარების სისტემას.**

2. სარდლობებსა და ბრიგადებში ბუღალტერ-აღმრიცხველები აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას აწარმოებენ **2 განსხვავებული ფორმით:** აღრიცხვის ჟურნალებში რაოდენობრივად და განსხვავებულ ფორმატში თანხობრივად (აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები).

აქტივების დიდი ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული 1994 წელს დამტკიცებული სახელმძღვანელოს<sup>7</sup> შესაბამისად, რომელიც არ არის შესაბამისობაში აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან. ამასთანავე, განსხვავებული ფორმატისა და არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო, რაოდენობრივი აღრიცხვისა და თანხობრივი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, სარდლობებისა და ქვედანაყოფების დონეზე სააღრიცხვო მონაცემები არაინფორმაციულია.

როგორც აღინიშნა, ჯალუსი ვალდებულია გააკონტროლოს და აღრიცხოს როგორც საკუთარი სარდლობის, ასევე სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის მოძრავ-უმძრავი ქონება და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. აღნიშნული კი ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა რაოდენობრივი შედარების გზით, **შესაბამისად თანხობრივი მონაცემების კონტროლი ჯალუსის მიერ არ ხორციელდება.**

3. როგორც აღინიშნა, სარდლობებისა და ქვედანაყოფების ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტები, აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვის გარდა, ასევე ყოველთვიურად ამზადებენ გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარსადგენად.<sup>8</sup> აღნიშნული მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოძრაობას (მიღება/გასვლა), მაგრამ ინფორმაცია არ მოიცავს აქტივების აღრიცხვისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად: დასახელება, მოდელი, პირველადი დოკუმენტი, რაოდენობა. მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ ჯამური ღირებულებით, შესაბამისად ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაცია

<sup>6</sup> მინისტრის ბრძანება: 2014 წლის 6 ივნისის #44; 2016 წლის 16 დეკემბრის #90; 2018 წლის 14 დეკემბრის #135; 2018 წლის 14 დეკემბრის #134; 2016 წლის 16 დეკემბრის #88;

<sup>7</sup> საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, შეიარაღების, ტექნიკის, ქონების და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელო.

<sup>8</sup> ფორმები იდენტურია ფინანსთა მინისტრის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციით დამტკიცებული; დანართი 5-ის „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ და დანართი 13 – „ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ.“

აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური თანხით (ქვედანაყოფის დონეზე ჯამურად მიღებული და გასული აქტივების ღირებულება)<sup>9</sup> და არ ხდება ფინანსური აღრიცხვის კონტროლი ყოველდღიური ტრანზაქციების დონეზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სამხედრო ძალებისთვის დამახასიათებელია და ხშირია აქტივების მოძრაობა (ერთმანეთისთვის გადაცემა).

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარდლობებისა და მათი ქვედანაყოფების მიერ სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში და ჯალუსში დამოუკიდებლად (ინდივიდუალურ დონეზე) წარმოდგენილი აქტივების რაოდენობრივი მონაცემები და აქტივებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს ურთიერთშესადარისობასა და სანდოობას.**

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამო, სამხედრო ქვედანაყოფების სააღრიცხვო ინფორმაციაში მოცემული საბალანსო ანგარიშების ნაშთები არსებითად განსხვავდება მათ შესახებ ფინანსების მართვის დეპარტამენტში არსებული ნაშთებისაგან.

ცხრილ N2-ში წარმოდგენილია ინფორმაცია სტრუქტურული ერთეულების ნაშთებისა და ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილი 2018 წლის საბალანსო ნაშთების შესახებ.

**ცხრილი N2:** ინფორმაცია სამხედრო ქვედანაყოფების 2018 წლის საბალანსო ნაშთების შესახებ (ათასი ლარი)

| მუხლის დასახელება                     | ფინანსური ანგარიშება | სამხედრო ქვედანაყოფები | უზუსტობა         |
|---------------------------------------|----------------------|------------------------|------------------|
| ნედლეული და მასალები                  | -                    | 3,760.9                | (3,760.9)        |
| სათადარიგო ნაწილები                   | 31,289.6             | 24,855.6               | 6,434.0          |
| სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები   | 1,097,940.0          | 643,323.0              | 454,616.9        |
| არასაცხოვრებელი შენობები              | 217,113.9            | 216,340.1              | 773.7            |
| სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 444,499.5            | 182,862.1              | 261,637.3        |
| ტექნიკა                               | 9,476.8              | 1,245.7                | 8,231.1          |
| ინვენტარი                             | 3,755.9              | 3,196.6                | 559.2            |
| სხვა მცირეფასიანი აქტივები            | 13,969.4             | 11,406.1               | 2,563.3          |
| სატრანსპორტო საშუალებები              | 14,120.6             | 14,640.6               | (520.0)          |
| <b>სულ</b>                            |                      |                        | <b>730,534.7</b> |

გამოვლენილი უზუსტობების დადგენის მიზნით, შეირჩა სტრუქტურული ერთეულების კონკრეტული ქვედანაყოფები და მოხდა არსებული ნაშთების შესწავლა. შერჩეული ქვედანაყოფების მიერ წარმოდგენილი წლიური ნაშთები არსებითად განსხვავდება როგორც ფინანსების დეპარტამენტში არსებული ბრუნვითი უწყისების ნაშთებისგან, ისე ჯალუსის მიერ ფინანსების მართვის დეპარტამენტისთვის ნაერთი ფორმით წარდგენილი ნაშთებისგან.

<sup>9</sup> თუ აქტივები მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული და თანხობრივი შეფასება არ აქვს, ასეთ შემთხვევაში მისი რაოდენობრივი ხარჯვა/გასვლა კონტროლდება ქვედანაყოფის და ჯალუსის დონეზე, თუმცა ინფორმაცია არ ხდება ფინანსების მართვის დეპარტამენტში.



**ცხრილი N3: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთებს შორის გამოვლენილი უზუსტობები (ათასი ლარი)**

| მუხლის დასახელება                     | ჯლუსი   | სამხედრო ქვედანაყოფები <sup>10</sup> | ფინანსების მართვის დეპარტამენტი |
|---------------------------------------|---------|--------------------------------------|---------------------------------|
| სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები   | 718.4   | 848.5                                | 8,129.4                         |
| სატრანსპორტო საშუალებები              | 7,493.0 | 1,306.0                              | 2,446.3                         |
| სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 4,711.6 | 5,892.2                              | 172,038.0                       |

ნაშთებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობების მიზეზს ერთი მხრივ სარდლობებსა და ბრიგადებში არსებული რაოდენობრივი აღრიცხვის პრაქტიკა წარმოადგენს - აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი სარდლობებისა და ქვედანაყოფების დონეზე არ არის შეფასებული, ხოლო მეორე მხრივ არ არის დროული და ეფექტური კომუნიკაცია სტრუქტურულ ერთეულებს შორის, კერძოდ:

ეკონომიკური მოვლენები არ აისახება მათი მოხდენის თარიღის მიხედვით<sup>11</sup>. საწყობში მიღებული საქონლის შესაბამისი პირველადი დოკუმენტები, როგორცაა დროებითი მიღება-ჩაბარებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები, ქვედანაყოფიდან წერილობით იგზავნება ჯერ სარდლობაში, ხოლო შემდეგ შესყიდვების დეპარტამენტში, რომელიც ამ დოკუმენტებს საბოლოოდ უგზავნის ფინანსების მართვის დეპარტამენტს. ამ უკანასკნელის მიერ ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება შესყიდვების დეპარტამენტისგან მიღებული წერილის თარიღის მიხედვით და არა საქონლის მიღების (ოპერაციის) თარიღით. მნიშვნელოვანი შეუსაბამობებია ქვედანაყოფებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფინანსების მართვის დეპარტამენტში მარაგებზე არსებულ ნაშთებს შორის. რიგ შემთხვევებში, ქვედანაყოფიდან განხორციელებულია მარაგების ხარჯვა (გასვლა) მაშინ, როცა ფინანსების მართვის დეპარტამენტში საქონლის მიღება ჯერ არ არის აღრიცხული<sup>12</sup>. მაგალითად: არ არის აღრიცხული 2018 წლის დეკემბრის თვეში დროებითი მიღება-ჩაბარების აქტის<sup>13</sup> საფუძველზე მიღებული საქონელი:

- 1,764.3 ათასი ლარის კარვები (აღრიცხვა განხორციელდა 2019 წლის 23 იანვარს);
- 88.5 ათასი ლარის საქონელი<sup>14</sup> აღრიცხულია 2019 წლის 21 იანვარს;
- ავანსის საფუძველზე მიღებული 50.5 ათასი ლარის საქონელი<sup>15</sup> აღრიცხულია 2019 წლის 9 მარტს და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უშლის ფინანსური აღრიცხვის პროცესებს, გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთებზე და წარმოშობს უზუსტობებს.

<sup>10</sup> მე-4 ბრიგადა, მე-3 ბრიგადა და სამხედრო პოლიცია.

<sup>11</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია (მუხლი პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტები და მე-9 მუხლის 11-ე პუნქტი)

<sup>12</sup> მაგალითად: ფინანსების მართვის დეპარტამენტში სპორტული ფეხსაცმლის მიღება აღრიცხულია 25 სექტემბერს, მაშინ როცა ქვედანაყოფიდან 13 სექტემბრიდან განხორციელდა მისი 70%-ის ხარჯვა.

<sup>13</sup> ხელშეკრულების პირობის თანახმად, შესყიდული საქონლის საწყობში მიღება ხდება დროებითი მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიღებული საქონლის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის შემეგ, საქონლის მიღების თარიღად კი ჩაითვლება დროებითი მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი იმ შემთხვევაში თუ საქონელი შესაბამისობაშია ხელშეკრულებასთან.

<sup>14</sup> მაისურები

<sup>15</sup> სპორტული ფეხსაცმელი

### ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

ზემოხსენებული აღრიცხვა-ანგარიშების პროცესების სისტემური ნაკლოვანებებისა და უზუსტობების შედეგად, აუდიტის ჯგუფისთვის ასევე არ არის სარწმუნო ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათი შედეგები. კერძოდ, ვერ ვიღებთ რწმუნებას თუ როგორ მოხდა სამინისტროში აქტივების შემოწმება და მათი აღრიცხვის სისწორის დადგენა ბუღალტრული მონაცემებისა და ფაქტობრივი ნაშთების შედარების გზით იმ პირობებში, როდესაც:

1. აქტივების უმრავლესობა არ არის ასახული ღირებულებით და მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემებია წარმოდგენილი (წონა, ერთეული, მოცულობა და ა.შ.).
2. სამხედრო ქვედანაყოფების წლიური ნაშთები არსებითად განსხვავდება როგორც ფინანსების დეპარტამენტში არსებული ბრუნვითი უწყისების ნაშთებისგან, ისე ჯლუსის მიერ წარდგენილი ნაშთებისგან.
3. ინვენტარიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს ყველა ქვედანაყოფში ერთიანი პოლიტიკით. შემაჯამებელი ოქმები არ არის წარმოდგენილი ყველა სამხედრო ქვედანაყოფის მიერ, ხოლო შემაჯამებელი ოქმით წარმოდგენილი ინფორმაცია იდენტურია წინა წლის შედეგებისა. არ არის გამოვლენილი ახალი გარემოებები, რაც წარმოშობს რისკებს, რომ ინვენტარიზაცია არ ტარდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
4. 2018 წლის საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი დამტკიცებულია 2019 წლის 29 მაისს, თუმცა ფინანსების მართვის დეპარტამენტში 2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ არის წარმოდგენილი შენიშვნები ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ, რომლის გათვალისწინებაც უნდა მომხდარიყო 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ მიღებული ინფორმაციის საიმედოობას და წარმოშობს დანაკარგების რისკებს.*

## 1.2 არაფინანსური აქტივები

### 1.2.1 მატერიალური მარაგები

სამინისტროს არაფინანსური აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა სისტემური პრობლემები, **კერძოდ:**

1. სხვა ქვეყნის მთავრობისგან საქონლის უსასყიდლოდ გადმოცემის შემთხვევაში, საქონლის მიღება ხდება ჯლუსში. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ გრანტის სახით 2018 წელს გადმოცემულია 13,351.0 ათასი ლარის საქონელი და სათადარიგო ნაწილები, რომელიც არ არის აღრიცხული ბუღალტრულად. აღნიშნულ საქონელთან დაკავშირებით გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი, ხდება მიღება-გაცემის რაოდენობრივი კონტროლი, თუმცა აქტივების შესახებ ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის.

აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გრანტის სახით მიღებული საქონელი ჯლუსის საწყობებში ხდება პირველადი დოკუმენტაციის გარეშე, შესაბამისად უცნობია როგორც მიღებული საქონლის ღირებულება, ისე ინფორმაცია მომწოდებლის შესახებ. ფინანსების მართვის დეპარტამენტი არ არის ინფორმირებული აღნიშნული აქტივების არსებობის შესახებ.

2. ჯავშანტექნიკა ჯლუსში აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად. ამასთანავე, ტექნიკის გარკვეული ნაწილის ღირებულება ცნობილია, თუმცა ფინანსურად არ არის აღრიცხული. მაგალითად, ერთ-ერთ შერჩეულ ქვედანაყოფში<sup>16</sup> არ არის ბუღალტრულად აღრიცხული 52,188.9 ათასი ლარის ღირებულების ჯავშანტექნიკა.

3. 2018 წელს არ არის ბუღალტრულად აღრიცხული<sup>17</sup> ჯლუსის მიერ მიღებული 97,424.5 ათასი ლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა. აღნიშნული საქონელი 2019 წლის ივნისის თვემდე არ არის განბაჟებული. ამავდროულად, საქონლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ზემოაღნიშნული თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც დებიტორი, მიუხედავად იმისა რომ ტექნიკა აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სამინისტროს განმარტებით, ზემოაღნიშნული აქტივები ფინანსურად აისახება 2019 წლის 6 თვის ანგარიშგებაში.

4. მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების „დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ ანგარიშზე ნაშთად ირიცხება 661,915.0 ათასი ლარი. აღნიშნული ნაშთის წარმოშობა უკავშირდება წლების მანძილზე რეალურად მიღებულ განუბაჟებელ საქონელს<sup>18</sup>, რომელიც აღრიცხებოდა მოთხოვნებში. შეცდომის გასწორების მიზნით, დებიტორული დავალიანებები ჩამოიწერა და დროებით მათი ასახვა მოხდა „დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება“-ის ანგარიშზე. ფინანსების მართვის დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას, თუ რომელ ქვედანაყოფშია აღნიშნული საქონელი და როგორ ხდება მისი ხარჯვა წლის განმავლობაში, თუმცა ქვედანაყოფებში წარმოებს შესაბამისი დოკუმენტის შედგენა საქონლის რაოდენობრივი ხარჯვის შესახებ.

„დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ ანგარიშიდან 2018 წლის 31 დეკემბერს 9,614.2 ათასი ლარი გადატანილ იქნა დაუმთავრებელი მშენებლობის

<sup>16</sup> აღმოსავლეთ სარდლობის, მე-4 მექანიზებული ბრიგადა.

<sup>17</sup> სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შექმნასთან-მუხლი 1627 229 დაკავშირებული მარაგები

<sup>18</sup> 2007-2008 წლებში უცხოურ ვალუტაში არარეზიდენტი მიმწოდებლებისაგან შეძენილი საქონელი

ანგარიშზე. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ტრანზაქციის საფუძველი, რაც აღრიცხვის ნაკლოვანებებსა და კონტროლის სისუსტეს წარმოადგენს.

1.2.2 ძირითადი აქტივები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1,7 მილიარდ ლარს აღემატება. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების მუხლის რეალური ღირებულების განსაზღვრა მასშტაბური შეუსაბამობის გამო შეუძლებელია<sup>19</sup>, კერძოდ:

- ჯლუსის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს<sup>20</sup>;
- არაფინანსური აქტივების დიდი მოცულობა აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული. შესაბამისად, სამინისტროს ერიცხება გაცილებით მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონება, ვიდრე ეს ბალანსით არის წარმოდგენილი. მაგალითად: სამინისტროს ფლობს საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ 79,768.2 ათას კვ.მ მიწას, რომელიც წარმოდგენილია ღირებულების გარეშე.
- ბალანსზე ირიცხება როგორც შენობა-ნაგებობის, ასევე მიწის რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაურეგისტრირებელია როგორც სახელმწიფო ქონება;

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს მიწების შეფასების პროცესი და შესაბამისი შედეგები წარმოდგენილი იქნება 2019 წლის ანგარიშგებაში.

1.2.3 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

სამინისტროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების მუხლზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილი ნაშთი 231,512.0 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბერს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი შემცირებულია არასაოპერაციო ხარჯით - სულ 133,746.4 ათასი ლარით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული ღირებულების ქონება 2018 წლამდე აღრიცხვობდა დაუსრულებელ მშენებლობად. თუმცა, ამ აქტივებზე სამშენებლო, სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია 2005-2010 წლებში და ამასთან ექსპლუატაციაშია.

ამასთანავე, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების მუხლიდან არ არის განხორციელებული 2,562.8 ათასი ლარის დასრულებული აქტივების რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე, რაც განპირობებულია სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის (ჯლუსი და ფინანსების მართვის დეპარტამენტი) დოკუმენტაციის მოძიებისა და გაცვლის გართულებული, გახანგრძლივებული პროცესებით. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ბუღალტრული აღრიცხვა არ ხდება ეკონომიკური მოვლენის მოხდენის

<sup>19</sup> აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულება უცნობია, ვინაიდან, ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ბალანსზე აღრიცხულია მთლიან სამხედრო ქალაქებში არსებული შენობები და უცნობია ცალკეული ობიექტების ღირებულება. შესაბამისად, ღირებულება შესაფასებელია.

<sup>20</sup> ინვენტარიზაციის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებულია, რომ საბინაო ფონდის 95% პრივატიზებულია (საცხოვრებელი ბინები, რომლებიც წლების მანძილზე საკუთრებაშია გადაცემული სამხედრო მოსამსახურეებისთვის), თუმცა დღემდე ირიცხება ბალანსზე. (აღმოსავლეთის ცენტრი- 102.9 მლნ.ლარი და დასავლეთ ცენტრი 125.9 მლნ. ლარი)

თარიღით, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს არაფინანსური აქტივების აღრიცხვის სისწორეზე, კერძოდ:

- 1,214.0 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოებზე, 2018 წლის დეკემბერში გამოცემულია ექსპლუატაციის აქტი, რაც ადასტურებს სამუშაოების დასრულებას. თუმცა მისი ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელდა მომწოდებლისგან ხელმოწერილი აქტის (ექსპლუატაციის აქტის) სამინისტროში მიღების თარიღით 2019 წელს;
- 500.3 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და შესაბამისად გამოცემულია ექსპლუატაციის აქტი, თუმცა, დაგვიანებული რეაგირების გამო, მისი გაგზავნა მიმწოდებელთან ხელმოსაწერად საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების მიზნით არ განხორციელებულა და დასრულებული აქტივები არ არის შესაბამისად აღრიცხული.
- 2018 წელს 848.5 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და მიღებულია ხარისხის კონტროლის სამსახურის მიერ, მაგრამ დაგვიანებული რეაგირების შედეგად, ექსპლუატაციაში მიღების აქტი მომზადებული არ არის და შესაბამის ანგარიშზე არ არის აღრიცხული.

#### 1.2.4 დანაკლისები

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების, მატერიალური მარაგების, ძირითადი აქტივების მუხლები შეიცავს 2008 წლის ომის შედეგად განადგურებულ/დაკარგულ აქტივებს. ქვედანაყოფებისგან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაკარგული აქტივების უმეტესი ნაწილის ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან აღრიცხულია რაოდენობრივად. აუდიტის შედეგად შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა დანაკლისად აღიარებული მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი აქტივების თანხობრივი იდენტიფიცირება, რამაც 60,904.8 ათასი ლარი შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, დანაკლისების შესახებ ინფორმაცია გადაგზავნილია სამხედრო პოლიციაში, თუმცა გამოძიების შედეგები ცნობილი არ არის და შესაბამისად არ განხორციელებულა აღნიშნული აქტივების ჩამოწრა.

ამასთანავე, მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით საბალანსო ანგარიშის ნაშთი შეადგენს 6,813.8 ათასი ლარს, რომელიც გამოვლენილია 1998 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად. აღნიშნულთან დაკავშირებით 2019 წლის 1 ივლისამდე არ არის მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება არაფინანსური აქტივების სისრულესა და სისწორეზე, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.*

**1.4 არამატერიალური ძირითადი აქტივები**

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლის შესახებაც ფინანსების მართვის დეპარტამენტი არ ფლობდა ინფორმაციას და შესაბამისად არ ერიცხებოდა ნორმით გათვალისწინებული ცვეთა, კერძოდ:

- 584.6 ათასი ლარის სისტემა “SAP”<sup>21</sup>, რომლის შეძენის თარიღი ფინანსების მართვის დეპარტამენტისთვის უცნობია;
- 2007 წელს შეძენილი 1,189.8 ათასი ლარის აქტივი<sup>22</sup> ირიცხებოდა არამატერიალურ აქტივად. აქედან, 959.9 ათას ლარზე სამინისტროს არ გააჩნია მიღების დოკუმენტი, შესაბამისად აღნიშნული თანხა ასევე ირიცხება დებიტორულ დავალიანებად.

სამინისტრომ, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებს დაარიცხა ცვეთა მთლიანი ღირებულებით. აღსანიშნავია რომ აქტივებს კვლავ გააჩნიათ სასარგებლო გამოყენების ვადა.

*შედეგად არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლი არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.*

**1.5 მოთხოვნები და ვალდებულებები**  
**1.5.1 დებიტორული დავალიანება**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული სხვა ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წინა წელთან შედარებით 2018 წელს შემცირებულია 12,929.2 ათასი ლარით.

**ცხრილი N4:** ინფორმაცია ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების შესახებ (ათასი ლარი).

| მუხლი | აქტივები                                       | 31.12.2017       | 31.12.2018      |
|-------|--|------------------|-----------------|
| 1350  | სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები           | 9,768.9          | 15,448.         |
| 1430  | მოთხოვნები წინასწარი გადახდებით                | 519,759.2        | 500,996.        |
| 1440  | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით | 6,813.8          | 6,813.          |
| 1450  | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები     | 1,428.3          | 1,469.          |
| 1460  | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები                 | 672.4            | 750.            |
| 1480  | სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                   | 16.9             | 51.             |
|       | ჯამი   | <b>538,459.4</b> | <b>525,530.</b> |

**ცხრილი N5:** დებიტორული დავალიანებები წარმოშობის წლების მიხედვით (ათასი ლარი).

| სულ              | დებიტორული დავალიანება წარმოშობის წლების მიხედვით |         |          |          |           |
|------------------|---|---------|----------|----------|-----------|
|                  | 1996-2014   | 2015    | 2016     | 2017     | 2018      |
| <b>525,530.2</b> | 287,096.0   | 2,509.0 | 35,799.0 | 24,328.0 | 175,799.0 |

სამინისტროს ბალანსზე 2007 წლიდან ოთხ ორგანიზაციას ერიცხება დებიტორული დავალიანება 9,810.2 ათასი ლარი<sup>23</sup>, რომლის შესაბამისი საქონელი მიღებულია და მოთხოვნები არ არის შემცირებული.

<sup>21</sup> SAP (System Analysis and Program Development) - პროგრამული უზრუნველყოფა.

<sup>22</sup> საქონლის დასახელება საიდუმლო ინფორმაციის შემცველია

<sup>23</sup> (1) 2008 წელს წარმოქმნილი 7,819.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის ფარგლებშიც 2008 წლის 14 მაისს არის შესაბამისი ქონება მოწოდებული;

(2) 2007-2008 წლებში წარმოქმნილი 1,030.7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც ჩამოიწერა 2018 წლის ბოლოს, როდესაც სამინისტრომ გაარკვია რომ აღნიშნული თანხის შესაბამისი საქონელი შემოტანილია 2008 წელს;

(3) 2007 წლიდან ირიცხება 959.9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის შესაბამისი საქონელი მიღებულია 2007-2008 წლებში.

სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების დაახლოებით 50% - თანხით 266,426.8 ათასი ლარი, წარმოადგენს ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებზეც მათი წარმოქმნიდან (1996-2014 წელი) არ განხორციელებულა მოძრაობა, შესაბამისად მათი დაფარვის ალბათობა მცირეა. სამინისტროს განმარტებით, დავალიანებების მნიშვნელოვან ნაწილზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები.

ანგარიში „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ წარმოდგენილია 97,424.5 ათასი ლარით გაზრდილი ოდენობით. კერძოდ, აღნიშნული თანხის მარაგები მიღებულია, თუმცა არ არის აღრიცხული და შესაბამისად არ არის ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება.

მოთხოვნებთან დაკავშირებით ასევე გამოვლენილია შემდეგი ნაკლოვანებები:

- ვერ დასტურდება 143,497.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანების არსებობა, ვინაიდან სამინისტრომ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- სამინისტროს განმარტებით, ერთ-ერთ კომპანიასთან,<sup>24</sup> რომლის მიმართაც 2007 წელს წარმოქმნილია მოთხოვნა 8,251.4 ათასი ლარზე, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან ვერ დგინდება არის თუ არა მოწოდებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.
- აუდიტორული პროცედურებით, ორგანიზაციებთან გაგზავნილი დასტურის წერილებით,<sup>25</sup> ვერ დასტურდება 2018 წლის ბოლოს არსებული 5,273.1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

*ყოველივე ზემოხსენებული შესაბამისობები განპირობებულია იმით, რომ სამინისტროში არ ტარდება მოთხოვნების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად<sup>26</sup>. დებიტორ ორგანიზაციებთან არ ფორმდება ურთიერთშედარების აქტები და არ ტარდება სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალურობის დასადგენად.<sup>27</sup>*

*სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს სამუშაო პროცესი ზემოაღნიშნული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.*

1.5.2 კრედიტორული დავალიანება

წინა წელთან შედარებით, სამინისტროს 2018 წელს კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 49,614.4 ლარით, საიდანაც 90% წარმოადგენს საქონლის განბაჟების შედეგად ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ დავალიანებას.

<sup>24</sup> საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში.

<sup>25</sup> 250 ორგანიზაციის ნაშთების დადასტურების მიზნით, აუდიტის მიერ შეიქმნა 105 ორგანიზაცია (მთლიანი დებიტორული დავალიანების 90%) და დავალიანების დადასტურებს მიზნით გაიგზავნა წერილები, აუდიტის ჯგუფმა პასუხი მიიღო 21 ორგანიზაციიდან, ხოლო 11 ორგანიზაციაში გაგზავნილი წერილი (დავალიანების ჯამური ღირებულება 13,829.5 ათასი ლარი), მობრუნებულია უკან, ადრესატის მოუძიებლობის გამო.

<sup>26</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3- პუნქტები.

<sup>27</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

**ცხრილი N6:** ინფორმაცია ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანების შესახებ (ათასი ლარი).

| ანგარიშის ნომერი | ვალდებულებები  | ნაშთი 2017 წლის ბოლოს | ნაშთი 2018 წლის ბოლოს |
|------------------|--|-----------------------|-----------------------|
| 3110             | ვალდებულებები დეპოზიტებით                                  | 23.6                  | -                     |
| 3210             | საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 4,784.7               | 5,339.0               |
| 3220             | არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები   | 259.9                 | 5,454.4               |
| 3244             | გადასახდელი სხვა გადასახდელები <sup>28</sup>               | 0.12                  | 43.9                  |
| 3251             | შტატი მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                   | 11.5                  | 11.5                  |
| 3253             | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით                    | 0.22                  | 0.26                  |
| 3254             | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ                     | 2.7                   | 0                     |
| <b>ჯამი</b>      |  | <b>16.6</b>           | <b>66.2</b>           |

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან, 14,619.9 ათასი ლარი წარმოშობილია 1997-2010 წლებში, საიდანაც 11,454.7 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია „შრომის ანაზღაურების“ მეხლით.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით<sup>29</sup>, ვერ დასტურდება 2018 წლის ბოლოს არსებული 4,137.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანების არსებობა.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსზე რიცხული 525,530.2 ათასი ლარის მოთხოვნებისა და 66,209.2 ათასი ლარის ვალდებულებების რეალურობა, უტყუარობა და სიზუსტე ვერ დასტურდება.**

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

<sup>28</sup> თანხის გადახდა არ იყო გათვალისწინებული 2018 წლის ბიუჯეტში

<sup>29</sup> 2018 წლის ბოლოსთვის 184 ორგანიზაციის ვალდებულებების ნაშთების დადასტურების მიზნით, შეირჩა 11 ორგანიზაცია და გაიგზავნა დასტურის წრილები, რაც მთლიანი კრედიტორული დავალიანების 85%-ს მოიცავს. აუდიტის ჯგუფმა პასუხი მიიღო 8 ორგანიზაციიდან.



## 2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

### 2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სხვადასხვა პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებსა და ტრანზაქციებს, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს 27 სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით. აქედან, მხოლოდ სამი ქვედანაყოფი იყენებს სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამას - ორისს. შესაბამისად, სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მთავარი ამოცანების შესრულებას. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა<sup>30</sup>.

2017 წელს, ფინანსების მართვის დეპარტამენტის ინიცირებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის პროგრამა, რომელიც საწყის ეტაპზე ითვალისწინებს მხოლოდ „ავეჯისა“ და „ტექნიკის“ აღრიცხვას. პროგრამაში შესაძლებელი იქნება როგორც მატერიალური ფასეულობების მოძრაობის/ნაშთის კონტროლი, ასევე სტრუქტურულ ერთეულებს შორის განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შემთხვევაში სასაქონლო ზედდებულის ბეჭდვა და ლოგისტიკური მხარის მოქნილი აღრიცხვა/კონტროლისთვის სხვა ფუნქციების განხორციელება. 2018 წლის ბოლოსთვის სამინისტროში ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი აღნიშნული პროგრამა.

### 2.2 შრომის ანაზღაურების კონტროლი

2017 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულ ხარჯებში აუდიტის მიერ გამოვლინდა თაღლითობის შემთხვევა, რომელიც უკავშირდებოდა შიდა კონტროლის არარსებობას.

აღნიშნული ფაქტის გამოვლენის შემდგომ, სამინისტრომ 2018 წელს დანერგა შიდა კონტროლის მექანიზმები. კერძოდ, ფინანსების მართვის დეპარტამენტმა დაიწყო შრომის ანაზღაურების მუხლით გადარიცხული თანხების შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შემოწმება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტროში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, 2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მოსამსახურეებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან თანხები გაიცემა როგორც ვადიანი, ასევე უვადო მინდობილობების საფუძველზე. აუდიტორული პროცედურებით გამოვლენილია თანხის ჩარიცხვის ფაქტები ისეთი მინდობილობების საფუძველზე, რომლებსაც მოქმედების ვადა აქვთ გასული.

მნიშვნელოვანია რომ შრომის ანაზღაურების დარიცხვისა და კონტროლის სრული პროცესი ხორციელდებოდეს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

<sup>30</sup> მუხლი 4, პუნქტი 7, ა) ქვეპუნქტი

### 2.3 საცნობარო მუხლები

სამინისტრო არ აწარმოებს ბალანსის საცნობარო მუხლში ამორტიზებული ძირითადი აქტივების აღრიცხვას, რომელიც საწყისი (ისტორიული) ღირებულებით ექვემდებარება აღნიშნული მუხლის ანგარიშზე ასახვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საცნობარო მუხლის „გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანების“ (N03) ანგარიშზე არ არის ასახული გადახდისუნარო დებიტორების დავალიანებები (შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე), რომელთა მიმართაც მათი ჩამოწერის მომენტიდან ხუთი წლის განმავლობაში სამინისტრო განახორციელებდა მათზე მეთვალყურეობას, დავალიანებების შესაძლო ამოღების მიზნით.

ბალანსის საცნობარო მუხლის „პირობითი მოთხოვნების“ (N05) ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2015-2018 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები<sup>31</sup>.

ბალანსის საცნობარო მუხლის „პირობითი ვალდებულებების“ (N06) ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2015-2018 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებები<sup>32</sup>.

<sup>31</sup> სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები: 17,481,456 ლარი, 2,424,468 დოლარი, 397,220 ევრო.

<sup>32</sup> სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებები: 16,715,864 ლარი, 1,655,655 დოლარი, 1,079,331 ევრო.

### 3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდენოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან დაპირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

ნინო ყიფიანი  
მთავარი აუდიტორი

ანა ზავრაშვილი  
აუდიტორი

თამარ ბარბაქაძე  
აუდიტორი

ნიკოლოზ ქაჯაია  
აუდიტორ-ასისტენტი

# ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

| დასახელება  | ანგარიში  | 2018 წლის 31<br>დეკემბერი<br>(საანგარიშო წელი) | 2017 წლის 31<br>დეკემბერი<br>(საანგარიშო წლის<br>წინა წელი) |
|---|-----------|--|---|
| 010 აქტივები  |           |  |   |
| 020 მოკლევადიანი აქტივები   |           |  |   |
| 030 ფულადი სახსრები   | 1100-1200 | 445,581  | 619,777   |
| 040 სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                              | 1300      | 15,448,661                                     | 9,768,855   |
| 050 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                                      | 1400      | 510,081,529                                    | 528,690,501   |
| 060 სხვა მატერიალური მარაგები   | 1620      | 1,791,144,576                                  | 1,631,551,396   |
| 070 სულ მოკლევადიანი აქტივები   |           | <b>2,317,120,347</b>                           | <b>2,170,630,529</b>  |
| 080 გრძელვადიანი აქტივები   |           |  |   |
| 090 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები                     | 1500      |  | 46,668,104  |
| 100 სტრატეგიული მარაგები  | 1610      |  |   |
| 110 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები                                | 2200      | 27,511,133                                     | 25,992,616  |
| 120 ძირითადი აქტივები   | 2100      | 1,060,311,775                                  | 1,171,779,890   |
| 130 ფასეულობები   | 2300      |  |   |
| 140 არაწარმოებული აქტივები  | 2400      | 1,118,755,512                                  | 1,129,166,245   |
| 150 საინვესტიციო ქონება   | 2500      |  |   |
| 160 სულ გრძელვადიანი აქტივები   |           | <b>2,206,578,420</b>                           | <b>2,373,606,855</b>  |
| 170 ბალანსი   |           | <b>4,523,698,767</b>                           | <b>4,544,237,384</b>  |
| 180 ვალდებულებები   |           |  |   |
| 190 მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები      |           |  |   |
| 200 მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                              | 3100      | 4  | 23,597  |
| 210 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები                       | 3200      | 66,209,223                                     | 16,571,197  |
| 220 სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები       |           | <b>66,209,227</b>                              | <b>16,594,794</b>   |
| 230 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები | 3300      |  |   |
| 240 სულ გრძელვადიანი ვალდებულებები                                    |           | <b>0</b>                                       | <b>0</b>  |
| 250 სულ ვალდებულებები   |           | <b>66,209,227</b>                              | <b>16,594,794</b>   |
| 260 კაპიტალი  |           |  |   |
| 270 აქტივების წმინდა ღირებულება                                       | 5100      | 4,457,489,540                                  | 4,527,642,590   |
| 280 გაუნაწილებელი მოგება  | 5220      |  |   |
| 290 დაუფარავი ზარალი  | 5230      |  |   |
| 300 სულ კაპიტალი  |           | <b>4,457,489,540</b>                           | <b>4,527,642,590</b>  |
| 310 ბალანსი   |           | <b>4,523,698,767</b>                           | <b>4,544,237,384</b>  |

## ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

| დასახელება  | 2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი) |                          |             | 2017 წლის 31<br>დეკემბერი<br>(საანგარიშო<br>წლის წინა<br>წელი) |
|---|--|--------------------------|-------------|--|
|   | საბიუჯეტო<br>სახსრები                    | არასაბიუჯეტო<br>სახსრები | სულ         |  |
| 010 ბიუჯეტიდან დაფინანსება                            | 738,874,246                              |                          | 738,874,246 | 706,123,542  |
| 020 შემოსავლები (030+040+050+060)                     | 10,352,466                               | -                        | 10,352,466  | 11,748,926   |
| 030 გადასახადები                                      |  |                          | -           |  |
| 040 სოციალური შენატანები                              |  |                          | -           |  |
| 050 გრანტები  | 3,728,081                                |                          | 3,728,081   | 833,292  |
| 060 სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)            | 6,624,385                                | -                        | 6,624,385   | 10,915,634   |
| 070 ა. შემოსავლები საკუთრებიდან                       |  |                          | -           |  |
| 080 ბ. საქონლისა და მომსახურების<br>რეალიზაცია        |  |                          | -           |  |
| 090 გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები                 | 6,331,916                                |                          | 6,331,916   | 915,136  |
| 100 დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა<br>გრანტებისა | 292,469                                  |                          | 292,469     | 10,000,498   |
| 110 ე. სხვა არაკლასიფიცირებული<br>შემოსავლები         |  |                          | -           |  |
| 120 სულ (010+020)                                     | 749,226,712                              | -                        | 749,226,712 | 717,872,468  |
| 130 ხარჯები   |  |                          |             |  |
| 140 მომუშავეთა ანაზღაურება                            | 334,063,130                              |                          | 334,063,130 | 335,210,740  |
| 150 საქონელი და მომსახურება                           | 194,547,431                              |                          | 194,547,431 | 164,530,757  |
| 160 ძირითადი კაპიტალის მოხმარება                      | 36,054,682                               |                          | 36,054,682  | 20,523,527   |
| 170 პროცენტი  |  |                          | -           |  |
| 180 სუბსიდიები  |  |                          | -           |  |
| 190 გრანტები  | 87,901,724                               |                          | 87,901,724  | 7,507,409  |
| 200 სოციალური უზრუნველყოფა                            | 27,668,951                               |                          | 27,668,951  | 26,975,426   |
| 210 სხვა ხარჯები                                      | 20,647,884                               |                          | 20,647,884  | 17,056,014   |
| 220 სულ (140+150+160+170+180+190+200+210)             | 700,883,802                              | -                        | 700,883,802 | 571,803,873  |
| 230 ფინანსური შედეგი (120-220)                        | 48,342,910                               | -                        | 48,342,910  | 146,068,595  |

## ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

| დასახელება   | ხაზინის<br>ერთიანი<br>ანგარიში | არასაბიუჯეტო<br>სახსრები | მესამე<br>პირის<br>გადახდები | სულ 2018<br>წელი                                  |
|--|--------------------------------|--------------------------|------------------------------|---|
| 010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი  | (70,153,050)                   |                          |                              | (70,153,050)                                      |
| 020 კორექტირებები: <sup>1</sup>  | 197,445,095                    | -                        |                              | 197,445,095                                       |
| 030 ცვეთა (+)  | 36,054,682                     |                          |                              | 36,054,682  |
| 040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) <sup>2</sup> | 190,125,308                    |                          |                              | 190,125,308                                       |
| 050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)   | (159,593,180)                  |                          |                              | (159,593,180)                                     |
| 060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ზრდა/კლება (-/+)   | (1,518,517)                    |                          |                              | (1,518,517)                                       |
| 070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)   | 87,933,256                     |                          |                              | 87,933,256  |
| 080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)  | 44,443,546                     |                          |                              | 44,443,546  |
| 090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან <sup>3</sup>   | 127,292,045                    | -                        |                              | 127,292,045                                       |
| 100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან   |                                |                          |                              |   |
| 110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა   |                                | -                        | -                            | -   |
| 120 ძირითადი აქტივები  |                                |                          |                              | -   |
| 130 სტრატეგიული მარაგები   |                                |                          |                              | -   |
| 140 ფასეულობები  |                                |                          |                              | -   |
| 150 არაწარმოებული აქტივები   |                                |                          |                              | -   |
| 160 საინვესტიციო ქონება  |                                |                          |                              | -   |
| 170 არაფინანსური აქტივების შესყიდვა  | 127,442,648                    | -                        |                              | 127,442,648                                       |
| 180 ძირითადი აქტივები  | 127,442,648                    |                          |                              | 127,442,648                                       |
| 190 სტრატეგიული მარაგები   |                                |                          |                              | -   |
| 200 ფასეულობები  |                                |                          |                              | -   |
| 210 არაწარმოებული აქტივები   |                                |                          |                              | -   |
| 220 საინვესტიციო ქონება  |                                |                          |                              | -   |
| 230 წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან <sup>4</sup>   | (127,442,648)                  | -                        |                              | (127,442,648)                                     |
| 240  |                                |                          |                              | ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან |
| 250 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა   |                                |                          |                              |   |
| 260 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა  | (23,593)                       |                          |                              | (23,593)  |
| 270 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან <sup>5</sup>  | (23,593)                       | -                        |                              | (23,593)  |
| 280 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება <sup>6</sup>  | (174,196)                      | -                        |                              | (174,196)   |
| 290 ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში   | 619,777                        |                          |                              | 619,777   |
| 300 ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს  | 445,581                        |                          |                              | 445,581   |
| 310 ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)   |                                |                          |                              | -   |
| 320 დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)   |                                |                          |                              | -   |

## ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

| დასახელება                                    | (საანგარიშო 2018 წელი) |                       |               |
|---|------------------------|-----------------------|---------------|
|   | საბიუჯეტო სახსრები     | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ           |
| 010 საწყისი ნაშთი                             | 4,527,642,590          |                       | 4,527,642,590 |
| 020 სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები           |                        |                       | -             |
| 030 წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები               |                        |                       | -             |
| 040 გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (10+20+30) | 4,527,642,590          | -                     | 4,527,642,590 |
| 50 არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)        | 18,139,649             | -                     | 18,139,649    |
| 060 კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი | 324,520                |                       | 324,520       |
| 070 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები            | 17,815,129             |                       | 17,815,129    |
| 080 არასაოპერაციო ხარჯები (090+100)           | 133,794,517            | -                     | 133,794,517   |
| 090 კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი      | 845,707                |                       | 845,707       |
| 100 სხვა არასაოპერაციო ხარჯები                | 132,948,810            |                       | 132,948,810   |
| 110 ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)   | 2,841,092              | -                     | 2,841,092     |
| 120 ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით  | 2,841,092              |                       | 2,841,092     |
| 130 მოგების გადასახადი                        |                        |                       | -             |
| 140 საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი   | 48,342,910             |                       | 48,342,910    |
| 150 ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+140)    | 4,457,489,540          | -                     | 4,457,489,540 |



## ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

| დასახელება                         | 2017 წლის<br>ბიუჯეტით<br>დამტკიცებ<br>ული<br>გეგმით | 2017 წლის<br>დაზუსტებ<br>ული<br>გეგმით | გადახრა<br>%<br>დაზუსტე<br>ბულ და<br>დამტკიცე<br>ბულ<br>გეგმას<br>შორის | 2017 წლის<br>საკასო<br>(ფაქტობრივ<br>ი) ხარჯი | გადახრა %<br>საკასო<br>(ფაქტობრი<br>ვ) ხარჯსა<br>და<br>დაზუსტებ<br>ულ გეგმას<br>შორის | 2017 წლის<br>დარიცხულ<br>ი ხარჯი | გადახრა<br>დარიცხუ<br>ლ და<br>საკასო<br>(ფაქტობრი<br>ვ) ხარჯს<br>შორის |
|------------------------------------|---|--|---|---|---|----------------------------------|--|
| 010 ხარჯები                        | 618,970,000   | 605,248,465                            | 2   | 611,431,600                                   | (1)   | 700,883,802                      | 89,452,202   |
| 020 მათ შორის:                     |   |  |   |   |   |                                  |  |
| 030 შრომის<br>ანაზღაურება          | 344,616,000   | 334,086,153                            | 3   | 334,066,542                                   | -   | 334,063,130                      | (3,412)  |
| 040 არაფინანსური<br>აქტივების ზრდა | 128,630,000   | 127,399,274                            | 1   | 127,442,648                                   | -   |                                  |  |
| 050 ფინანსური<br>აქტივების ზრდა    |   |  |   |   |   |                                  |  |
| 060 ვალდებულებების<br>კლება        |   |  |   |   |   |                                  |  |

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

## საკონტაქტო ინფორმაცია

### ანგარიშის ავტორები

ნინო ყიფიანი - [nkipiani@sao.ge](mailto:nkipiani@sao.ge)  
ანა ზავრაშვილი - [azavrashvili@sao.ge](mailto:azavrashvili@sao.ge)  
თამარ ბარბაქაძე - [tbarbaqadze@sao.ge](mailto:tbarbaqadze@sao.ge)  
ნიკოლოზ ქაჯაია - [nkajaia@sao.ge](mailto:nkajaia@sao.ge)

### ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://sao.ge/>  
<https://budgetmonitor.ge/ka>  
<http://blog.sao.ge/>  
<http://www.sai.ge/main/>  
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>  
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>  
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

### ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

### ელექტრონული ფოსტა

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)